დანართი ანგარიშის გახსნის თაობაზე

1. პროდუქციის/მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე ყველა კომპანია წინადადების წარდგენით ეთანხმება გამარჯვების შემთხვევაში გახსნას კრედო ბანკში ანგარიში თუ კი მოცემული მომენტისთვის არა აქვს მიმდინარე ანგარიში კრედო ბანკში;
2. გამარჯვებული კომპანიის მიერ კრედო ბანკში ანგარიშის გახსნა უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებამდე კრედო ბანკის ნებისმიერ სერვისცენტრში;
    - გასაფორმებელ ხელშეკრულებაში **უნაღდო** ანგარიშსწორება ითვალისწინებს თანხის ჩარიცხვას მხოლოდ კრედო ბანკის ანგარიშზე;
3. გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის შემდგომ კომპანიის მიერ ანგარიშის არ/ვერ გახსნის შემთხვევაში კომპანია დისკვალიფიცირდება და მოხდება ტენდერის გადაწყვეტილების გადახედვა.
4. ეროვნული ბანკის არსებული რეგულაციების თანახმად ანგარიშის გახსნისთვის საჭირო არის შემდეგი პროცდურის დაცვა და დოკუმენტაციის წარდგენა:

4.1 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) :

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან
- ანგარიშის გახსნასა და განკარგვაზე უფლებამოსილი პირის (პირების) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დამფუძნებლის პირადობის მოწმობის ასლი(10%-ზე მეტი წილის მფლობელი პარტნიორები და 25%-ზე მეტის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრე ფიზიკური პირები).
- თუ დამფუძნებელი არარეზიდენტი იურიდიული პირია გაითვალისწინება **4.3** პუნქტის ჩამონათვალი

4.2 სააქციო საზოგადოება (სს):

- რეგისტრაციის მოწმობა (ამონაწერი სამეწარმეო და სხვა შესაბამისი რეესტრიდან ბოლო ცვლილებებით
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი აქტი მისი შექმნის შესახებ (წესდება)
- დირექტორის ან/და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი;
- იურიდიული პირის 10% ან მეტი წილის ყველა მფლობელის ჩამონათვალი (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია კანონის თანახმად);
- იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრის ჩამონათვალი (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია კანონის თანახმად).
- სააქციო საზოგადოების აქციონერთა რეესტრს აწარმოებს ან რეგისტრატორი ან თვითონ. შესაბამისად გვჭირდება ამონაწერი აქციონერთა რეესტრიდან, რათა შევძლოთ ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა.
- არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში გაითვალისწინება **4.3** პუნქტის ჩამონათვალი

4.3 არარეზიდენტი იურიდიული პირი:

- შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოების მიერ გაცემული პირის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოების მიერ გაცემული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. მინდობილობა, დამფუძნებლის გადაწყვეტილება პირის დირექტორად დანიშვნის თაობაზე და ა.შ.);
- იურიდიული პირის 10% ან მეტი წილის ყველა მფლობელის ჩამონათვალი (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია კანონის თანახმად);
- იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიციარი მესაკუთრის ჩამონათვალი (იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია კანონის თანახმად).
-

ვადასტურებ რომ გავეცანი აღნიშნულ დოკუმენტს და ვეთანხმები !

- კომპანიის დასახელება:
- ხელმოწერა /ბეჭედი: